ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

**დადგენილება №36**
**2014 წლის 12 სექტემბერი**

ქ. ზუგდიდი

# ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტი) დამტკიცების შესახებ" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილებაში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდესი" 41-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 61-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტი) დამტკიცების შესახებ" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილებაში (სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", სარეგისტრაციო კოდი: 010250040.35.105.016147, 18.07.2014 წ.) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება, კერძოდ:

დებულების მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

**„მუხლი 16. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება**

1. საკრებულოს წევრს თავისი უფლებამოსილების (საკრებულოს სხდომებზე დასწრება, განსახილველ საკითხებში მონაწილეობა, ამომრჩევლებთან შეხვედრა და ცალკეული დავალებების შესრულება) განხორციელებასთან დაკავშირებით შეიძლება აუნაზღაურდეს:

ა) ტრანსპორტირების ხარჯები;

ბ) სამივლინებო ხარჯები;

გ) შიდა და საერთაშორისო სატელეფონო და სატელეგრაფო მომსახურების ხარჯები;

დ) სხვა ხარჯები (ინტერნეტის, ქსეროასლების გადაღებისა და ა.შ).

2. საკრებულოს წევრს, ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული ხარჯი უნაზღაურდება საკრებულოს აპარატში წარმოდგენილი, მივლინებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის საფუძველზე.

3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" „გ" და „დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული ხარჯების ანაზღაურების მიზნით საკრებულოს წევრს (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა), ყოველთვიურად ეძლევა თანხა, რომლის ზღვრული ოდენობა განისაზღვრება საკრებულოს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტით;"

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 12 სექტემბრიდან.

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **ლაშა გოგია**